


ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში
მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების
განვითარების სისტემის მოდელი

**ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში
მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების
სისტემის მოდელი**

დოკუმენტი მომზადებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორებისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციას.



წარდგენა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (აეგ) სფეროში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა პროფესიული განვითარების ინტერმუნიციპალურ მოდელს.

ინტერმუნიციპალური მოდელი ეფუძნება მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის რეგიონულ პრინციპს და ითვალისწინებს აეგ სფეროში სასწავლო პროგრამების (მოდულების) ელექტრონული ტენდერის საშუალებით ერთობლივი შესყიდვის ორგანიზებას.

2020 წელს მოდელი წარმატებით გამოიყენა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში, სადაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ლიდერობით განხორციელდა აეგ სფეროში ორი სასწავლო პროგრამის მომსახურების ერთობლივი შესყიდვა.

ინტერმუნიციპალური მოდელი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ნებისმიერ სფეროში სასწავლო პროგრამების მომსახურების შესყიდვისთვის, სადაც მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა მიზანშეწონილია ასეთი პროგრამებისთვის დადგენილი მონაწილეთა მინიმალური რაოდენობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ერთ მოხელეზე განეული დანახარჯების შესამცირებლად.

მოდელს თან ერთვის ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის მემორანდუმის, მუნიციპალიტეტებს შორის ერთობლივ შესყიდვაზე შეთანხმების და ტექნიკური დავალების პროექტები; ასევე, აეგ სასწავლო პროგრამების მიწოდებით დაინტერესებული საჯარო და კერძო სასწავლო დაწესებულებების სია.

01 მოდელის შემუშავების პროცესი

მოდელის შემუშავებას წინ უძღოდა საჭიროებათა კვლევის პროცესი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა და მათი გათვალისწინებით მდგრადი მექანიზმის / მოდელის შემუშავება.

კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია (ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები და სამაგიდე კვლევა). შესწავლილი იქნა მოხელეთა პროფესიული განვითარების სისტემის ჩარჩო დოკუმენტები, მუნიციპალიტეტების მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმები და იმერეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, გაანალიზდა შესაბამის სფეროში სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა.

კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლებს:

- ქალაქ რუსთავის, ქალაქ ფოთის, ამბროლაურის, ოზურგეთის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტები;
- საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;
- საჯარო სამსახურის ბიურო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;

- ფინანსთა სამინისტროს აკადემია;
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტი;
- იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების და მოხელეთა პროფესიული განვითარების არსებული სისტემის გათვალისწინებით, მომზადდა მოდელის სამუშაო ვერსია, რომელიც განხილულ იქნა სასწავლო პროგრამების მიმწოდებლებთან (პროვაიდერებთან).

მოდელის პილოტირების მიზნით შეირჩა სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტები. პილოტირების წინ მოდელის განხილვა მოხდა აღნიშნული მუნიციპალიტეტების შესყიდვების და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე დაზუსტდა ერთობლივ შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები და დაიგეგმა პილოტირების პროცესი. პილოტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებმა განახორციელეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (აეგ) სფეროში ორი სასწავლო პროგრამის (ტრენინგ მოდულის) ერთობლივი შესყიდვა.

02 მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების გამომწვევები

კვლევის შედეგად იდენტიფიცირდა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლების სფეროში არსებული შემდეგი გამომწვევები:

■ **ხარისხის უზრუნველყოფა დამატებით პროგრამებზე.** მოხელის პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამებისთვის, საბაზისო პროგრამებისგან განსხვავებით, სავალდებულო აკრედიტაცია არ მოითხოვება. აღნიშნული გარემოება სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობას ზრდის და მათ დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

■ **სწავლებისთვის გამოყოფილი ასიგნებები.** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს“. კანონის აღნიშნული ნორმა მუნიციპალიტეტების მიერ არაერთმნიშვნელოვნად განიმარტება. მათი ნაწილი თვლის, რომ ნორმა ფაქტიური ხარჯის განვითარების ვალდებულებას არ გულისხმობს და საკმარისია დადგენილი მინიმალური თანხის მხოლოდ ბიუჯეტში ასახვა. ამდენად, თუ საბიუჯეტო წლის მანძილზე, სხვადასხვა მიზეზით, ვერ მოხდა ამ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისება, მათი აზრით, ეს კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობად არ ითვლება. არის შემთხვევები, როდესაც სავალდებულო მინიმალური თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საერთოდ არ არის ასახული.

■ **სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხი.** სასწავლო პროგრამების მიმწოდებლები დამატებითი პროგრამების განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხს. მათი შეფასებით, ტექნიკურ დავალებაში განერილი მოთხოვნები და გათვალისწინებული სახსრები აცდენილია რეალობას, რაც რიგ შემთხვევებში ტენდერის ჩავარდნის მიზეზი ხდება.

სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მინიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა. სწავლების მეთოდოლოგიური სპეციფიკისა¹ და პროვაიდერების ფინანსური ინტერესების გათვალისწინებით, ტრენინგის ჩატარებისთვის აუცილებელია სასწავლო პროგრამაში მონაწილეობდეს მოხელეთა გარკვეული მინიმალური რაოდენობა. პროვაიდერებთან კონსულტაციების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ რაოდენობას წარმოადგენს 6-8 მოხელე.

მუნიციპალიტეტების ყოველწლიური სასწავლო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ზომის (შტატების რაოდენობით, ბიუჯეტის მოცულობით) მუნიციპალიტეტში, როგორც წესი, დამატებითი სასწავლო პროგრამის გავლის საჭიროების მქონე მოხელეთა რაოდენობა საშუალოდ 2-3 მოხელეს არ აღემატება, რაც სასწავლო ჯგუფის ფორმირებისთვის არასაკმარისია. მაგალითად, საქართველოს მუნიციპალიტეტების 2020 წლის სასწავლო გეგმების ანალიზის მიხედვით, დამატებითი პროგრამების 90%-ის შემთხვევაში, ერთი კონკრეტული პროგრამის გავლის საჭიროება ერთი მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 5 ან ნაკლებ მოხელეს უდგინდება. აქედან 50%-ში კი ერთი მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 1 მოხელის მონაწილეობაა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტში პროფესიული განვითარების პროგრამის სწავლების მომსახურების შესყიდვა ტენდერს ექვემდებარება, ვინაიდან ყველაზე დაბალბიუჯეტური მუნიციპალიტეტშიც კი მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრები ერთგვაროვან საქონელზე გამარტივებული შესყიდვისთვის დადგენილ მონეტარულ ზღვარს (5000 ლარი) აჭარბებს². ტენდერის გამოცხადება კი მუნიციპალიტეტისთვის, რომელსაც მოცემული სასწავლო პროგრამისთვის 2 ან 3 მოხელის გადამზადება სურს და შესაბამისად ტრენინგისთვის აუცილებელი მოხელეთა მინიმალური რაოდენობის შეკრებას ვერ უზრუნველყოფს, აზრს მოკლებულია.

ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ათვისება. იმერეთის მუნიციპალიტეტების 2019 წლის ბიუჯეტების კვლევა ადასტურებს, რომ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით გათვალისწინებული თანხები აუთვისებელი რჩება. მაგალითად:

- ქუთაისის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 50000 ლარი, საიდანაც გაიხარჯა 38300 ლარი - 76,6 პროცენტი.
- ტყიბულის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 15700 ლარი, საიდანაც გაიხარჯა 5100 ლარი - 32,5 პროცენტი
- სამტრედიის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 23200 ლარი, საიდანაც გაიხარჯა 6600 ლარი - 28,4 პროცენტი
- ჭიათურის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 26000 ლარი, საიდანაც გაიხარჯა 2500 ლარი - 6,6 პროცენტი

¹ ხშირ შემთხვევაში, ელ. კურსის და საკლასო სწავლების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ჯგუფურ მიდგომას. მაგ.: ტრენინგის მონაწილეებისგან ჯგუფების შექმნას, ჯგუფური პრეზენტაციების მომზადებას, ჯგუფებს შორის კონკურენციის ნახალისებას, რაც სწავლის შედეგებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

² როგორც აღინიშნა, კოდექსით მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით გამოყოს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი.

აღნიშნული გამოწვევები, ბუნებრივია, ვრცელდება მუნიციპალიტეტში ავგ პროგრამების სწავლებაზეც. შესაბამისად, ავგ საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარებისთვის მოხელეთა სწავლების სტაბილური სისტემის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოდელი, რომელიც მოქმედი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს პირობებში ეფექტიანად უკასხებს არსებულ გამოწვევებს.

03 მოდელის დიზაინი

ზემოთ აღწერილი გამოწვევების გათვალისწინებით შემუშავდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (ავგ) სფეროში მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების ინტერმუნიციპალური მოდელი, (შემდგომში, სწავლების ინტერმუნიციპალური მოდელი), რომელიც ხელს შეუწყობს ავგ პროგრამების (მოდულების) სწავლების მდგრადი სისტემის ფორმირებას.

ავგ სწავლების ინტერმუნიციპალური მოდელი ეფუძნება მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის რეგიონულ პრინციპს³ და ითვალისწინებს ავგ პროგრამების (მოდულების) ტენდერის საშუალებით ერთობლივი შესყიდვის ორგანიზებას.

ავგ პროგრამების სწავლებისთვის აღნიშნული მოდელის შეთავაზება ემყარება შემდეგ დასაბუთებას:

- მოდელი მორგებულია ქვეყანაში მოქმედი მოხელეთა პროფესიული განვითარების სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს (პროვაიდერების მრავალფეროვნება და მუნიციპალიტეტების მიერ მათი შერჩევის თავისუფლება, სასწავლო საჭიროებების ადგილობრივად დადგენა და დაფინანსება, შესყიდვების კანონმდებლობა) და არ მოითხოვს ამ მიმართულებით რაიმე სახის ცვლილებებს.
- რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში უკვე არსებობს თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება (მშენებლობებზე ზედამხედველობის მომსახურების ერთობლივი შესყიდვის სფეროში);
- ავგ სწავლების ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებისთვის კრიტიკულად აუცილებელია მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული სიახლოვე. სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება სასწავლო პროგრამის გავლასთან დაკავშირებული მოხელეთა სამივლინებო ხარჯები, რაც მოდელს ფინანსურად არამიმზიდველად აქცევს.
- მუნიციპალიტეტში დამატებითი (მათ შორის ავგ) პროგრამების სწავლების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ავგ პროგრამის გავლის საჭიროების მქონე მოხელეთა შესაძლო მცირე რაოდენობა წარმოადგენს, რაც რადიკალურად ამცირებს ტენდერის გზით შესაბამისი მომსახურების შესყიდვის შესაძლებლობას. რეგიონული პრინციპით ერთობლივი შესყიდვის ფორმის გამოყენება არსებითად ზრდის ავგ პროგრამების/მოდულების გავლის საჭიროების მქონე მოხელეთა რაოდენობრივ ბაზას.

შენიშვნა 1: აღნიშნული ინტერმუნიციპალური მოდელი არ გამორიცხავს სხვადასხვა რეგიონის ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტებს შორის ან-ალოგიური ფორმით თანამშრომლობას, როდესაც ეს ურთიერთხელსაყრელი იქნება.

³ რეგიონში იკულისხმება სახელმწიფო რწმუნებულების სამოქმედო ტერიტორია.

შენიშვნა 2: ეს მოდელი, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სფეროში მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების გარდა, მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია გამოიყენონ ყოველწლიური სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ სხვა სასწავლო პროგრამებთან მიმართებითაც.

04 მოდელის ფუნქციონირების წინაპირობები

სწავლების ინტერმუნიციპალური მოდელის სტაბილური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი წინაპირობების ერთობლიობა:

- 1. ავგ საჭიროებების მუნიციპალიტეტების ყოველწლიურ გეგმებში ასახვა.** ა(ა)იპი კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრმა (CTC) შეიმუშავა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სწავლების პროგრამა, რომელიც შედგება 10 დამოუკიდებელი სასწავლო მოდულისგან. 10-ვე მოდულის სრული პაკეტი (სილაბუსი, ვიზუალური და საკითხავი მასალები, სავარჯიშოები, პრეზენტაციები და შეფასების ტესტები) ღია რესურსის სახით განთავსებულია CTC-ის მიერ ადმინისტრირებულ ვებ პორტალზე www.tvitmmartveloba.ge. ეს ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს, რაც მუნიციპალიტეტებს დაეხმარება ავგ სფეროში სწავლების საჭიროებების დადგენაში
- 2. ბიუჯეტში შესაბამისი რესურსის გათვალისწინება.** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს. სწავლების ინტერმუნიციპალური მოდელის ფუნქციონირებისთვის შესაბამისი თანხები გათვალისწინებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროგრამის/ქვეპროგრამის სახით.
- 3. ავგ სწავლების საჭიროებებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** მოდელის სტაბილური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მუნიციპალიტეტების მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმების მონაცემებზე ღია წვდომა მათი დამტკიცებიდან მაქსიმალურად მოკლე პერიოდში. ღია მონაცემებში უნდა ჩანდეს როგორც ცალკეული მუნიციპალიტეტის ავგ სწავლების საჭიროება, ისე კონკრეტულ პროგრამებში (მოდულებში) გადასამზადებელი მოხელეების რაოდენობა. ეს მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს, დროულად დაინყონ თანამშრომლობა ავგ პროგრამების (მოდულების) ერთობლივი შესყიდვის დაგეგმვის მიმართულებით. სასურველია ქვეყნის მასშტაბით ასეთი მონაცემების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს **საჯარო სამსახურის ბიურომ**, სადაც თავს იყრის ყველა მუნიციპალიტეტიდან შემოსული ინფორმაცია. ეს გაზრდიდა სისტემის ოპერირების ეფექტურობას⁴. სწავლების ინტერმუნიციპალურ მოდელში რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება განისაზღვრება ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე (იხ. დანართი 1).

⁴ აღნიშნული გადანაცვლებები ხელს შეუწყობს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს შორის (არამხოლოდ რეგიონის) თანამშრომლობას, აგრეთვე შექმნის შესაძლებლობას ამ სფეროში სხვა საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობის განვითარებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება სწავლების მომსახურების მიმწოდებლებისთვისაც.

4. ავე სასწავლო პროგრამების მიწოდება. ღია რესურსზე განთავსებული ავე პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია მიწოდდა შესაბამისი პროფილის მქონე 20-ზე მეტ საჯარო და კერძო სასწავლო დაწესებულებას (იხ. დანართი 2), რომელმაც სურვილი გამოთქვა აღნიშნული პროგრამები (ან მათი ნაწილი) შეიტანოს საკუთარ კურიკულუმებში. შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ამ სასწავლო დაწესებულებებმა მიმართონ საჯარო სამსახურის ბიუროს მათი სასწავლო პროგრამების ელექტრონულ ვებგვერდზე განთავსების მიზნით.

5. მოდელის დანერგვის მხარდაჭერა. მოდელის ქვეყნის მასშტაბით დანერგვისთვის მნიშვნელოვანი იქნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერა, განსაკუთრებით პირველ წლებში, რაც გულისხმობს: 1) მუნიციპალიტეტებში სწავლების ინტერმუნიციპალური მოდელის პოპულარიზაციას და 2) მოდელის მდგრადი ფუნქციონირებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობების შესრულების ხელშეწყობას / კოორდინაციას.

05 მოდელის ფუნქციონირების დეტალური აღწერა

წინამდებარე გზამკვლევაში მოცემული ნაბიჯები (აქტივობები) ქრონოლოგიური თვალსაზრისით თანმიმდევრულია. თუმცა, მათი ნაწილი შესაძლებელია პარალელურად განხორციელდეს.

ნაბიჯი 1. მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება.

მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს აფორმებს რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები.

მემორანდუმზე ხელმოწერით მუნიციპალიტეტები თანხმდებიან (იხ. დანართი 1):

- მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მიზნებზე;
- ინფორმაციის გაცვლის ვადებსა და წესზე;
- ერთობლივი ტენდერის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტის (შემდგომში, წამყვანი მუნიციპალიტეტი) განსაზღვრის წესზე.⁵

შენიშვნა: მემორანდუმის გაფორმება ხელმოწერ მუნიციპალიტეტს არ ზღუდავს მოცემულ სფეროში ითანამშრომლოს სხვა მუნიციპალიტეტებთან, მათ შორის ერთობლივი შესყიდვის განხორციელების ფორმით.

⁵ წამყვანი მუნიციპალიტეტის განსაზღვრის წესზე საჭიროა არსებობდეს შეთანხმება მემორანდუმში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოდელის განხორციელების დამატებითი პროცედურები.

ნაბიჯი 4. ყოველწლიური საკოორდინაციო შეხვედრა

ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ძირითადი საკითხების შეთანხმებისა და ურთიერთკოორდინაციის მიზნით ყოველი წლის თებერვლის მეორე სამშაბათს იმართება ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის საკოორდინაციო შეხვედრა.

საკოორდინაციო შეხვედრაში მონაწილეობენ მუნიციპალიტეტების ადამიანური რესურსების მართვასა და სახელმწიფო შესყიდვების გახორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები.

საკოორდინაციო შეხვედრის ორგანიზებას უზრუნველყოფს წამყვანი მუნიციპალიტეტი. მხარეთა შეთანხმებით, შეხვედრა შეიძლება გაიმართოს დისტანციურად, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

საკოორდინაციო შეხვედრაზე თანხმდება შემდეგი საკითხები:

- სასწავლო პროგრამები, რომლებზეც განხორციელდება ერთობლივი შესყიდვა, ამ პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარების ვადები;
- შესყიდვის ერთობლივად განხორციელების შესახებ შეთანხმების (შემდგომში, შეთანხმება) და ტექნიკური დავალების ძირითადი პირობები (იხ. დანართი 3 „შეთანხმება“ და დანართი 4 „ტექნიკური დავალება“).
- **ტექნიკური დავალების ძირითადი პუნქტები:**
 - შესყიდვის ობიექტი - სასურველია გავეთდეს სასწავლო პროგრამებში შემავალი ძირითადი თემების ჩამონათვალი;
 - მონაწილეთა რაოდენობა - განისაზღვრება მუნიციპალიტეტების მიხედვით, თითოეული პროგრამისთვის;
 - შესყიდვის ვადები - სასურველია თითოეული პროგრამისთვის განისაზღვროს ჩატარების კონკრეტული თარიღი, რათა მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ მონაწილეთა წინასწარ გაფრთხილება და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. აქვე შეიძლება ჩაიდოს ტრენინგის ვადის გადანიშნვის პროცედურაც. მაგალითად, შემსყიდველს უფლება აქვს გადანიშნოს სასწავლო პროგრამის ჩატარების თარიღი დადგენილ ვადამდე 15 სამუშაო დღით ადრე და შემსრულებელს მიანოდოს ინფორმაცია ახალი თარიღის შესახებ;
 - ფინანსური საკითხები - შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, ავანსის გაცემის შესაძლებლობა და პირობები, საბანკო გარანტიების წარდგენის პირობები, ანგარიშსწორების წესი და სხვა;
 - გამოცდილება - შემსრულებლის სწორად შერჩევის მიზნით აუცილებელია შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების წინაპირობად განსაზღვრა. იქ სადაც შემსრულებელი შეიძლება იყოს ორგანიზაცია, მიზანშეწონილია მოთხოვნილი იქნას აგრეთვე ტრენინგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია;
 - მიწოდების ადგილი - რომელიმე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა ან სხვა ადგილი. სასწავლო პროგრამის მიწოდების ადგილის მიმართ დადგენილი მოთხოვნები;
 - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.
- ერთობლივი ტენდერის მომზადებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული შემდგომი ნაბიჯების და ვადების შეთანხმება.

შენიშვნა: საკოორდინაციო შეხვედრას შესაძლებელია არ ეყოს ერთი სამუშაო დღე.

ნაბიჯი 5. შეთანხმების გაფორმება და ერთობლივ სატენდერო კომისიაში წევრის წარდგენა

სატენდერო დოკუმენტების - **შეთანხმების** და **ტექნიკური დავალების** (ეს უკანასკნელი, როგორც წესი, არის შეთანხმების დანართი) პროექტების მომზადებას უზრუნველყოფს წამყვანი მუნიციპალიტეტი. დოკუმენტები შენიშვნებისა და წინადადებებისთვის ეგზავნება გაერთიანებულ შესყიდვაში მონაწილე მუნიციპალიტეტებს. აქვე, მუნიციპალიტეტებს ეთხოვებათ ერთობლივ სატენდერო კომისიაში წარმომადგენლის წარდგენა.

მიღებული პასუხების გათვალისწინებით, წამყვანი მუნიციპალიტეტი დაასრულებს სატენდერო დოკუმენტაციას და ხელმოსაწერად უგზავნის მუნიციპალიტეტებს.

შენიშვნა: სატენდერო დოკუმენტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნების ან წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი შეხვედრის გამართვა.

მუნიციპალიტეტების **შეთანხმება** შეიძლება დადასტურდეს ელექტრონული ხელმოწერის შესრულებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმით.

ნაბიჯი 6. ბაზრის კვლევა და ფასის დადგენა

წამყვანი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბაზრის კვლევასა და საბაზრო ფასის დადგენისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელებას.

საბაზრო ფასის დადგენა შეიძლება განხორციელდეს ქვემოთ მოცემული ორი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენებით ან ორივე მეთოდის კომპლირებით.

- **მსგავსი ტენდერების შესწავლა.** ბაზარზე არსებული შეთავაზებების დასადგენად შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემის ანალიზი. სასწავლო პროგრამების მიწოდების მომსახურების CPV - კოდის (80500000 - სატრენინგო მომსახურებები) მითითებით შესაძლებელია ტენდერების, პოტენციური მიმწოდებლების, სახელშეკრულებო პირობების მოპოვება.
- **ფასთა გამოკითხვა.** ბაზარზე არსებული ფასის განსაზღვრის გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებით ფასთა გამოკითხვის წარმოება, მას შემდეგ რაც მოხდება შესყიდვის ობიექტის და მიწოდების ვადების განსაზღვრა, სასურველია განცხადების ელექტრონულად განთავსების პარალელურად წერილები დაეგზავნოთ პოტენციურ მიმწოდებლებს, რათა მეტად იყოს გარანტირებული ფასთა გამოკითხვაში მათი მონაწილეობა. ფასთა გამოკითხვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ სატრენინგო მომსახურების შესყიდვის დროს ერთი მონაწილის მომსახურების ღირებულება დამოკიდებულია ჯგუფის სიდიდებზე.

წამყვანი მუნიციპალიტეტი, დადგენილი საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაციას, თანხმობის მიღების მიზნით, აწვდის მუნიციპალიტეტებს.

ნაბიჯი 7. ერთობლივი სატენდერო კომისიის სხდომა

მომსახურების საბაზრო ფასთან დაკავშირებით ყველა მუნიციპალიტეტის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ, იმართება ერთობლივი სატენდერო კომისიის სხდომა. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, სხდომა უზრუნველყოფს სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცებას.

ნაბიჯი 8. ერთობლივი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება

ერთობლივი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებას უზრუნველყოფს წამყვანი მუნიციპალიტეტი. შესყიდვის საშუალების (SPA, NAT) გამოყენების შესახებ გად-ანყვეტილებას იღებს ერთობლივი სატენდერო კომისია.

ნაბიჯი 9. გამარჯვებულის გამოვლენა

ერთობლივ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა ხორციელდება ერთობლივი სა-ტენდერო კომისიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონ-მდებლობის შესაბამისად.

ტენდერში გამარჯვებულთან თითოეული მუნიციპალიტეტი აფორმებს დამოუკიდ-ებელ ხელშეკრულებას. გაფორმებული ხელშეკრულებების ელექტრონულ სისტე-მაში განთავსებას უზრუნველყოფს წამყვანი მუნიციპალიტეტი.

ნაბიჯი 10. მომსახურების განხორციელება და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქ-ტის გაფორმება

განეული მომსახურების შესაბამისად თითოეული მუნიციპალიტეტი დამოუკიდებ-ლად ახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ანგარიშსწორებას.

ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების ელექტრონულ სისტემაში განთავსებას უზრუნველყოფს წამყვანი მუნიციპალიტეტი.

**მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში
ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის მემორანდუმი**

ქ. _____

___ / ___ / 2020

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი (შემდგომში, მხარეები) ვაღიარებთ რა მუნიციპალიტეტთა შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, როგორც ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და კარგი მმართველობის ეფექტიან ინსტრუმენტს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსების მაღალი კვალიფიკაციის კრიტიკულ მნიშვნელობას მოსახლეობისათვის ხარისხიანი მუნიციპალური სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად,

ვხელმძღვანელობთ საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიითა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გარანტირებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების გათვალისწინებით, გამოვთქვამთ მზადყოფნას თანამშრომლობისთვის და ვთანხმდებით შემდგომ:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და პრინციპები

1. მემორანდუმის მიზანია ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ფორმით უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმების ეფექტიანი განხორციელება.
2. მემორანდუმის ფარგლებში ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ეფუძნება მხარეთა ორგანიზაციულ ავტონომიას და თანამშრომლობის ნებაყოფლობითობის პრინციპს.
3. ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ხორციელდება რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სახელმწიფო რწმუნებულის სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში არსებულ მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობას.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმა

1. მემორანდუმის ფარგლებში ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ხორციელდება ორი ფორმით:
 - ა) მოხელეთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
 - ბ) მოხელეთა სწავლების პროგრამების მომსახურების ერთობლივი შესყიდვა.
2. მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით სწავლების პროგრამების მომსახურების ერთობლივი შესყიდვა წარმოებს ტენდერის ფორმით.
3. საჭიროებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტების შეთანხმებით, წლის განმავლობაში შესაძლებელია ორგანიზებულ იქნეს რამდენიმე ერთობლივი ტენდერი.
4. ამ მემორანდუმის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის რეგიონული პრინციპი, მხარეებს არ ზღუდავს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად გააფორმონ ერთობლივი შესყიდვების შესახებ შეთანხმება სხვა მუნიციპალიტეტებთან.

მუხლი 3. წამყვანი მუნიციპალიტეტის განსაზღვრის წესი

1. მემორანდუმით დადგენილ ფარგლებში და წესით ინფორმაციის გაცვლასა და პროფესიული განვითარების პროგრამების სწავლების მომსახურების ერთობლივი შესყიდვის განხორციელებას უზრუნველყოფს ერთ-ერთი ხელმომწერი მუნიციპალიტეტი (შემდგომში, **წამყვანი მუნიციპალიტეტი**).
2. **წამყვანი მუნიციპალიტეტი** იცვლება ყოველწლიურად, როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, ხელმომწერი მუნიციპალიტეტების სახელწოდებების ანბანური თანმიმდევრობით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წამყვანი მუნიციპალიტეტის განსაზღვრის წესი კონკრეტულ წელს შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 4. ინფორმაციის გაცვლა

1. მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, ყოველი წლის 1 თებერვლამდე მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმის ან მისი პროექტის წამყვანი მუნიციპალიტეტისთვის მიწოდება.
2. წამყვანი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს გეგმებში არსებული მონაცემების სისტემატიზაციას, ერთობლივი შესყიდვისთვის აუცილებელი სხვა დოკუმენტების/ინფორმაციის მომზადებას და მხარეებისთვის მიწოდებას.

მუხლი 5. ყოველწლიური საკოორდინაციო შეხვედრა

1. ერთობლივი ტენდერის ორგანიზების მიზნით, წამყვანი მუნიციპალიტეტი ყოველი წლის არაგვიანეს 1 მარტამდე უზრუნველყოფს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის საკოორდინაციო შეხვედრის ორგანიზებას და შეხვედრაზე განსახილველი მასალების მომზადებას.
2. შეხვედრა შეიძლება შედგეს ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით.
3. საკოორდინაციო შეხვედრა ყოველწლიურად უზრუნველყოფს წელს ერთობლივი ტენდერის განხორციელების შესახებ შეთანხმების, ტექნიკური დავალების, აგრეთვე ერთობლივი ტენდერის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შეთანხმებას.

მუხლი 6. წამყვანი მუნიციპალიტეტის განსაზღვრის დროებითი წესი

მემორანდუმის გაფორმების წელს წამყვან მუნიციპალიტეტად განისაზღვრება შესაბამისი რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრის ადგილსამყოფელი მუნიციპალიტეტი - „_____ მუნიციპალიტეტი“.

მუხლი 7. მემორანდუმის ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად.
2. მემორანდუმის დედნის შენახვაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი, რომელიც წარმოადგენს რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს.
3. მემორანდუმში ცვლილება ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, რომელიც დასტურდება ყველა მხარის ხელმოწერით.
4. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
5. მხარე რომელიც ცალმხრივად ტოვებს მემორანდუმს ვალდებულია არაუგვიანეს 1 თვით ადრე მემორანდუმის დატოვების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მხარეებს. შეტყობინება ძალაში შედის გაგზავნიდან 1 თვეში.
6. მემორანდუმი ავტომატურად წყვეტს მოქმედებას, თუ ხელმომწერთა რაოდენობა შემცირდა

ერთ მუნიციპალიტეტამდე.

7. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე.

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

სახელი გვარი _____

_____ მუნიცილაპიტეტის მერი

**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების
სასწავლო პროგრამის
ტრენინგ-მოდულების მიმოხილვით
დაინტერესებული პროვაიდერები**

ტრენინგის სახელწოდება	დაინტერესებული პროვაიდერები
1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (LED)	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი 5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 6. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 7. კავკასიის უნივერსიტეტი 8. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 9. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 10. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 11. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 12. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 13. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 14. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 15. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია 16. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA) 17. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ 18. რეგიონის განვითარების ცენტრი 19. მედია ცენტრი კახეთი (MCK) 20. მდგრადი განვითარების ორგანიზაცია 21. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
2. ადგილის ეკონომიკური დარგებისა და კლასტერების კონკურენტუნარიანობის ანალიზი	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 5. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA) 6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 7. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 9. კავკასიის უნივერსიტეტი 10. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

	<ol style="list-style-type: none"> 12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 13. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 14. რეგიონის განვითარების ცენტრი 15. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 16. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) 17. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 18. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
<p>3. ბიზნესის მხარდამჭერი მექანიზმები და სერვისები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი 5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 6. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA) 7. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 8. კავკასიის უნივერსიტეტი 9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 10. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 13. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 14. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია 15. რეგიონის განვითარების ცენტრი 16. მედია ცენტრი კახეთი (MCK) 17. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 18. მდგრადი განვითარების ორგანიზაცია 19. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 20. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
<p>4. სივრცითი მონყოლის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი 5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

	<ol style="list-style-type: none"> 6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 7. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 8. კავკასიის უნივერსიტეტი 9. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 10. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 13. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 14. რეგიონის განვითარების ცენტრი 15. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 16. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
<p>5. უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 5. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 6. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 7. კავკასიის უნივერსიტეტი 8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 9. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 10. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 11. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 12. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 13. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ 14. რეგიონის განვითარების ცენტრი 15. მედია ცენტრი კახეთი (MCK) 16. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 17. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 18. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD) 19. შპს "პროექტის მართვის ექსპერტები"

6. მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკური საფუძვლები

1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია
2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი
5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
6. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
7. კავკასიის უნივერსიტეტი
8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
10. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
11. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
12. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
13. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია
14. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA)
15. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
16. რეგიონის განვითარების ცენტრი
17. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)
18. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია
19. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)

7. მუნიციპალური განვითარების პროექტების მართვა

1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია
2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი
5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
8. კავკასიის უნივერსიტეტი
9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA)

	<ol style="list-style-type: none"> 15. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ 16. რეგიონის განვითარების ცენტრი 17. მედია ცენტრი კახეთი (MCK) 18. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 19. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) 20. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 21. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD) 22. შპს "პროექტის მართვის ექსპერტები"
<p>8. ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და ინტერპრეტაცია</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 5. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 6. კავკასიის უნივერსიტეტი 7. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 8. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 9. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 10. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 11. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 12. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია 13. რეგიონის განვითარების ცენტრი 14. მედია ცენტრი კახეთი (MCK) 15. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 16. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია 17. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
<p>9. თანამონაწილეობის მექანიზმები ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი 3. სსიპ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი 5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 7. კავკასიის უნივერსიტეტი

8. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტა ასოციაცია
15. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA)
16. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
17. რეგიონის განვითარების ცენტრი
18. მედია ცენტრი კახეთი (MCK)
19. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
20. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია
21. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
22. შპს "პროექტის მართვის ექსპერტები"

10. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი

1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია
2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი
5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
6. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
7. კავკასიის უნივერსიტეტი
8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
10. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
11. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
12. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13. მედია ცენტრი კახეთი (MCK)
14. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
15. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია
16. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
17. რეგიონის განვითარების ცენტრი

დაინტერესებული ტრენინგ პროვაიდერების სია

1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია
2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
3. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
4. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი
5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
6. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
7. კავკასიის უნივერსიტეტი
8. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
9. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
11. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
12. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია
13. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
14. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია
15. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)
16. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA)
17. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
18. რეგიონის განვითარების ცენტრი
19. მედია ცენტრი კახეთი (MCK)
20. მდგრადი განვითარების ორგანიზაცია
21. დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD)
22. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
23. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
24. შპს "პროექტის მართვის ექსპერტები"

შეთანხმება

ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების შესახებ

თარიღი: _____

- ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი 1, წარმოდგენილი (პიროვნების სახელი და გვარი; პოზიცია)
- ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი 2, წარმოდგენილი (პიროვნების სახელი და გვარი; პოზიცია)
- ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი 3, წარმოდგენილი (პიროვნების სახელი და გვარი; პოზიცია)
- ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი 4, წარმოდგენილი (პიროვნების სახელი და გვარი; პოზიცია)
- ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი 5, წარმოდგენილი (პიროვნების სახელი და გვარი; პოზიცია)
- ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი n, წარმოდგენილი (პიროვნების სახელი და გვარი; პოზიცია)

შემდგომში ნოდებული როგორც _ მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე როგორც _ მხარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 11 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისი №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის საფუძველზე, ვდებთ ამ შეთანხმებას (შემდგომში _ შეთანხმება) შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

- 1.1. მხარეები თანხმდებიან, ერთობლივად განახორციელონ მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, შემდეგ თემატიკაზე:

.....

(სასწავლო პროგრამების ჩამონათვალი)

2. ტენდერის გამოცხადებაზე უფლებამოსილი შემსყიდველი ორგანიზაცია

- 2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ----- მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს იმ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით განახორციელოს ბაზრის კვლევა და გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.
- 2.2. ერთობლივი ელექტრონული ტენდერის ჩატარების მიზნით შეიქმნება ერთობლივი სატენდერო კომისია, რომელშიც თითოეული მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იქნება მინიმუმ ერთი წევრით.
- 2.3. ამ შეთანხმების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულთან მხარეების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდება ცალ-ცალკე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სატენდერო განცხადებისთვის და სატენდერო დოკუმენტაციისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები

- 3.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისი №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-3 მუხლის გათვალისწინებით, სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი დამტკიცდეს თანდართული პირობების შესაბამისად (იხ. დანართი №1).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად, მუნიციპალიტეტების მიერ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

[მაგალითად: 2021 წლის 25 დეკემბრამდე]

4.2. მომსახურების განხორციელების ადგილია:

[**განმარტება:** მიეთითება კონკრეტული ლოკაცია ან ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია. ფართით უზრუნველყოფა შესაძლებელია მოახდინოს რომელიმე მუნიციპალიტეტმა]

4.3. საჭიროების შესაბამისად ტრენინგ(ებ)ი შეიძლება ჩატარდეს დისტანციურ ფორმატში.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. სატრენინგო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებული შესრულებული მომსახურების ღირებულების ოდენობით. ყოველ კონკრეტულ მომსახურებაზე სატრენინგო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით.

5.2. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება ცალ-ცალკე, ფაქტობრივად განეული მომსახურების გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. თუ განსაზღვრული გარემოებების გამო ფაქტობრივად განეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება, მუნიციპალიტეტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების შესაბამისად, ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ფაქტობრივად განეული მომსახურების ღირებულება.

5.4 ამ შეთანხმების 5.3 პუნქტით გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს პირობა, რომ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს პრეტენზია არ გააჩნდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან გამომდინარე აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

6. დავების მოგვარება

6.1. მხარეები შეეცდებიან, მათ შორის შეთანხმებიდან გამომდინარე დავები მოაგვარონ ურთიერთ-მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სხვა დებულებები

7.1. შეთანხმება ძალაშია მხარეების მიერ მისი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

7.2. შეთანხმების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან, ელექტრონული დოკუმენტის სახით.

7.3. შეთანხმება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში

7.4. შეთანხმებაში ცვლილებ(ებ)ის და დამატებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით. შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

7.5. შეთანხმების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად შეთანხმების ან/და მისის სხვა მუხლის ან პუნქტის ბათილობას.

7.6. ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შეთანხმებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8. წინამდებარე შეთანხმებას ვეთანხმებით და ვადასტურებთ ელექტრონული ხელმოწერის შესრულებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმით

მხარეთა ხელმოწერები:

_____ მუნიციპალიტეტის
წარმომადგენელი (სახელი და გვარი) _____

_____ მუნიციპალიტეტის
წარმომადგენელი (სახელი და გვარი) _____

_____ მუნიციპალიტეტის
წარმომადგენელი (სახელი და გვარი) _____

_____ მუნიციპალიტეტის
წარმომადგენელი (სახელი და გვარი) _____

_____ მუნიციპალიტეტის
წარმომადგენელი (სახელი და გვარი) _____

_____ მუნიციპალიტეტის
წარმომადგენელი (სახელი და გვარი) _____

ტექნიკური დავალება

გასანვეი მომსახურება გულისხმობს მუნიციპალიტეტების მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგის ჩატარებას ტექნიკური დავალებაში განვრცოლი პირობების შესაბამისად. ტრენინგი მოიცავს შემდეგ სასწავლო პროგრამებს:

(სასწავლო პროგრამის/ების სახელწოდება)

[**მაგალითად:** 1. მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკური საფუძვლები; 2. მუნიციპალური განვითარების პროექტების მართვა.]

(სასწავლო პროგრამის/ების თემატიკა, სწავლის მეთოდები და ხანგრძლივობა)

[**მაგალითად:** 1. სასწავლო პროგრამა №1 – „მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკური საფუძვლები“ - სწავლების ხანგრძლივობა: 12 საკონტაქტო საათი, 2 დღე.

1.1. კურსის მიზანია მსმენელებს გაუღრმავოს ცოდნა მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკურ საფუძვლებში, რათა შეძლონ მუნიციპალური ქონების გამოყენებით ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სტიმულირება.

1.2. სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

- თემა 1** - ქონების, როგორც სანარმოო ფაქტორის, მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის;
- თემა 2** - საჯარო ქონების კლასიფიკაცია;
- თემა 3** - მუნიციპალური ქონების ფორმირება;
- თემა 4** - საჯარო ქონების შეფასების მეთოდები;
- თემა 5** - საჯარო ქონების განკარგვის ეკონომიკური ასპექტები;
- თემა 6** - საჯარო ქონების განკარგვის საინვესტიციო და სოციალური ვალდებულებების შედგენის და შესრულების კონტროლის სპეციფიკა;
- თემა 7** - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის პროცესში მუნიციპალიტეტის ჩართულობა

1.3. თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული სამუშაოს შეფარდება:

- 1. თეორიული მეცადინეობა/ლექცია - 4 სთ;
- 2. პრაქტიკული მეცადინეობა - 8 სთ;

1.4. სწავლების მეთოდები:

- 1. პრეზენტაცია;
- 2. დისკუსია/დებატები;
- 3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- 4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- 5. შემთხვევების შესწავლა (Case study).]

2. მუნიციპალიტეტების მიხედვით განსაზღვრულია მონაწილეთა შემდეგი რაოდენობა:

მუნიციპალიტეტის სახელწოდება	ტრენინგი: მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკური საფუძვლები	ტრენინგი: მუნიციპალური განვითარების პროექტების მართვა

3. მომსახურების განვების პირობები:

3.1. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების განვება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად.

[განმარტება: სასურველია განისაზღვროს ტრენინგის ჩატარების კონკრეტული თარიღები ან მინიმუმ სავარაუდო თვე]

3.2. ტრენინგის ჩატარების თარიღის ცვლილების შესახებ ინფორმაცია შემსრულებელს უნდა ეცნობოს არანაკლებ 15 სამუშაო დღით ადრე.

3.3. სატრენინგო მომსახურების განხორციელების ადგილია:

[განმარტება: მუნიციპალიტეტის მიერ ფართის გამოყოფის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ტრენინგის ჩატარების კონკრეტული მისამართი, სხვა შემთხვევაში - ქალაქი/დასახლება]

3.4. საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე) შემსყიდველ ორგანიზაციის მოთხოვნით, ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის მუნიციპალიტეტის მოხელეებისთვის დისტანციურ ფორმატში მიწოდება. ტრენინგის ჩატარების ფორმატის შერჩევას ახდენს შემსყიდველი ორგანიზაცია.

3.5. დისტანციური სწავლების შემთხვევაში, ტენდერში გამარჯვებული პასუხისმგებელია ტრენინგის ონლაინ პლატფორმით უზრუნველყოფაზე.

4. ტრენინგი უნდა ჩატარდეს სასწავლო მიზნების შესაბამისი ფართის მქონე და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ კეთილმოწყობილ შენობაში.

5. ტრენინგის მონაწილეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს _____ მონაწილეს.

6. ტენდერში გამარჯვებულმა თითოეული მონაწილე უნდა უზრუნველყოს ტრენინგის შინაარსის შესაბამისი საკითხავი მასალით და შემდეგი აუცილებელი ინვენტარით:

.....

(ინვენტარის ჩამონათვალი, ძირითადი მახასიათებლები და რაოდენობა)

[მაგალითად: 20 ცალი სანერი კალმით (ბურთულიანი, ლურჯი ფერის, 0,7 მმ-იანი), 20 ბლოკნოტით (ზომა არანაკლებ 15X20 სმ, გვერდების რაოდენობა არანაკლებ 100, მუყაოს ყდით.)

7. ტრენინგის დასრულების შემდეგ, ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს მონაწილეთათვის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატების გადაცემა.

8. ტრენინგის დღეს ტენდერში გამარჯვებულის მიერ ორგანიზებულ უნდა იქნეს შესვენება ლანჩით, 40 წუთის განმავლობაში. ლანჩი უნდა გაიმართოს ტრენინგის შენობაში. (იხ. თანდართული მენიუ).

9. დისტანციური სწავლების ფორმატის გამოყენებისას მონაწილეთა კვებით მომსახურება არ ხორციელდება.

10. ტრენინგზე ცოდნის ტრანსფერის ხარისხის შეფასების მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის წინასწარი და შემდგომი შეფასების ინსტრუმენტები.

[განმარტება: ტრენინგზე ცოდნის ტრანსფერის შეფასების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ინსტრუმენტები: პრე და პოსტ ტესტები, ქეისების ამოხსნა და ა.შ.]

11. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს ტრენინგის მონაწილეთა მიერ უკუკავშირის კითხვარის საფუძველზე ტრენინგის შეფასების განხორციელება.

[განმარტება: უკუკავშირის კითხვარი შეიძლება მოიცავდეს ტრენინგის მონაწილეთა რეაქციების შეფასებას თუ რამდენად მოსწონთ პროგრამა, რამდენად ადეკვატურია სწავლების ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ.]

11. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს ტრენინგის მონაწილეთა მიერ უკუკავშირის კითხვარის საფუძველზე ტრენინგის შეფასების განხორციელება.

[განმარტება: უკუკავშირის კითხვარი შეიძლება მოიცავდეს ტრენინგის მონაწილეთა რეაქციების შეფასებას თუ რამდენად მოსწონთ პროგრამა, რამდენად ადეკვატურია სწავლების ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ.]

ხარჯთაღრიცხვის ფორმის ნიმუში:

გასანევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	მსმენელების რაოდენობა	ერთეულის ფასი (ტრენინგის ღირებულება 1 მსმენელზე)	საერთო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

ტრენინგი: (დასახელება)

1	ტრენინგის მომსახურება (ერთ მონაწილეზე)				
2	კვებითი (ლანჩის მოწყობა) მომსახურების ორგანიზება				დისტანციურ ფორმატში სწავლების წარმართვის შემთხვევაში ეს მომსახურება და შესაბამისად თანხის ანაზღაურება არ განხორციელდება
3	ტრენინგის მგზავრობისა და დაბინავების მომსახურება				
4	ტრენინგ მასალების ბეჭდვა და მონაწილეთათვის მიწოდება				